„მიხეილ პრარაბი“, ბუჩქებში დამალული საბანკო ასოციაცია და ბრძოლა თეფშების წინააღმდეგ...

2012 წლის ეკონომიკური დანაშაულები, სკანდალები, კურიოზები

გაზეთი “ყველა სიახლე” – 26 დეკემბერი, 2012 – 2 იანვარი, 2013, № 52

2012 წელი საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოდგა: ვინ იცის, რა აღარ მოხდა – ხელისუფლების ცვლილებით დაწყებული, ყბადაღებული „კოაბიტაციით“ დამთავრებული... უფრო მეტიც, 21 დეკემბერს ლამის ნახევარი საქართველო სამყაროს აღსასრულს ელოდა, საბედნიეროდ, მაიას ტომების წინასწარმეტყველება არ ასრულდა და ჩვენც გადავწყვიტეთ შეგვეფასებინა, რა ხდებოდა გასულ წელს საქართველოში, ჩვენს ეკონომიკაში. 2012 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების შეჯამება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ლადო პაპავას ვთხოვეთ:

– 2012 წელი იყო ძალიან მძიმე წელი ჩვენი ეკონომიკისათვის: წინასაარჩევნო პერიოდი, პოლიტიკური ბატალიები და ორხელისუფლებიანობა თავისთავად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზეც. განსაკუთრებით მძიმე იყო გასული წელი საბანკო სექტორისათვის, მით უმეტეს, რომ ის ქვეყანაში ყველაზე განვითარებული და ფაქიზი სექტორია, რომელსაც ყველა უნდა გავუფრთხილდეთ. საუბედუროდ, 2012 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა „ქართუ ბანკს“. თანაც, ეს იყო ძალიან ბინძური ომი, დაწყებული საკანონმდებლო ცვლილებით, რომელმაც საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ ერთ ბანკს, არამედ მთლიანად საბანკო სისტემას. აკრძალული მეთოდები გამოყენებულ იქნა „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ, ბუჩქებში დაიმალა საბანკო ასოციაცია, რომელიც წესით უნდა გამოხატავდეს და იცავდეს ბანკების ინტერესებს. მე მგონი, დროა საბანკო ასოციაციაში სერიოზული რეორგანიზაცია დაიწყოს, ბანკებმა კი მომავალში უფრო მეტი ერთიანობა შეძლონ. კიდევ უფრო მძიმე შესაფასებელია ის ფაქტი, რომ „ქართუ ბანკში“ დროებითი მმართველი შევიდა და ამ ბანკის შეგნებულ გაკოტრებას მიჰყო ხელი. ეს იყო ჩემი აზრით

ყველაზე სერიოზული ეკონომიკური დანაშაული, რომელიც 2012 წელს იქნა ჩადენილი.

– საზოგადოებამ კარგად იცის, რომ სხვა დანაშაულებიც ხდებოდა.

– დიახ. ეკონომიკური დანაშაულის სფეროს განეკუთვნება ბრძოლა სატელიტური თეფშების წინააღმდეგ. ერთი შეხედვით ეს მედიის პრობლემა იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ დანაშაულთანაც გვქონდა საქმე: სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვითომ ვერ გათვალა რა სარგებელი უნდა ენახა კომპანიას, რომელიც ამ თეფშების შემოტანითა და დისტრიბუციით იყო დაკავებული, სასამართლომ კი ამ შეცდომის საფუძველზე მცდარი, უფრო სწორად, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიიღო.

2012 წელი ასევე გამორჩეული იყო ფაქტებით, როდესაც საზოგადოებამ გაიგო, თუ რა დანაშაულს სჩადიოდა „ნაციონალური“ მთავრობა. გავიგეთ ფანტასტიკური ინფორმაცია, თუ რა ძვირი უჯდებოდა საქართველოს ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი თვითმფრინავების შენახვა, გავიგეთ ძალიან ბევრი სერიოზული ფაქტი, რომლის გამოც რამდენიმე მაღალჩინოსანი პასუხისგებაშიც არის მიცემული. არ შემიძლია არ შევეხო **ყველაზე ნაღვლიან მოვლენას**, რომელიც ნაწილობრივ არის დაკავშირებული ეკონომიკასთან: ბატონი სააკაშვილი, რომელსაც ძალიან უნდოდა ყოფილიყო აღმაშენებელი, სამწუხაროდ „პრარაბობას“ ვერ გასცდა. რატომ? – ჩვენი ერისათვის ცნება „აღმაშენებელი“ არ ნიშნავს მარტო მშენებლობას. აღმშენებლობა ნიშნავს ქვეყნის გაძლიერებას, მის გამთლიანებას და სახელმწიფოდ ქცევას. მიხეილ სააკაშვილმა კი ქვეყანა კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა – ტერიტორიები რუსეთს ჩააბარა, ხოლო ქვეყნის შიგნით უდიდესი განხეთქილება გამოიწვია. ამიტომ სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მის დროს ქვეყანას არაერთი ახალი შენობა-ნაგებობა შეემატა, ზოგიერთი მათგანი აბსოლუტურად უფუნქციო, უხარისხო და უგემოვნოა, აღმაშენებელი მაინც ვერ გახდა. ალბათ კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ „მიხეილ აღმაშენებლის” ნაცვლად „მიხეილ პრარაბი“ მივიღეთ.

– რას მიიჩნევთ 2012 წლის კურიოზად?

– რაც შეეხება 2012 წლის **კურიოზს**, როცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ ლიდერებმა განცხადეს, ეკონომიკურ ბლოკში დასანიშნი ხალხი არ გვყავსო და ამ ხალხის საზღვარგარეთ ძებნა დაიწყეს. კიდევ კარგი, რომ ბოლოს „ქართული ოცნების” წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკური

ბლოკის ძირითადი ავტორები, ბატონები ნოდარ ხადური და დავით ნარმანია მთავრობაში მიიწვიეს.

– ბატონო ლადო, რა არის ქართულ ეკონომიკისათვის ყველაზე დიდი საფრთხე?

– 2012 წელი გამოირჩეოდა ინვესტიციების კლებით, რაც ბუნებრივი მოვლენაა იმიტომ, რომ ეს იყო პოლიტიკური დაპირისპირების წელი, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე ამ ინვესტიციების კლებას ოპტიმისტურად ვუყურებ: ეს ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებული იყო უძრავ ქონებაზე და არა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე. ალბათ, ინვესტიციები მომავალ წელსაც მცირე იქნება იმიტომ, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, წინ კი საპრეზიდენტო არჩევნები გველის. **ყველაზე დიდი საფრთხე**, რომელიც ქვეყანაში 2012 წელს ჩამოყალიბდა, ეხება როგორც ქართულ ეკონომიკას, ასევე მთლიანად სახელმწიფოს – ეს საფრთხე პრეზიდენტ სააკასვილის საკუთარი ხალხის ოპოზიციაში გადასვლა და მის მიერ ორხელისუფლებიანობის გამოცხადებაა. ახლახან ამერიკაშიც ჩატარდა არჩევნები, დემოკრატი ობამა ისევ გახდა ქვეყნის პრეზიდენტი და კონგრესში ჰყავს უმრავლესობა რესპუბლიკელების სახით. როგორ, ამერიკა ორხელისუფლებიანი სახელმწიფოა და ობამა ოპოზიციაშია? ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობა და ე.წ. ორხელისუფლებიანობა ინიცირებულია სწორედ სააკაშვილის მიერ. თანაც, ის აკონტროლებს ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტებს, როგორიც არის ეროვნული ბანკი, აუდიტის სახელმწიფო სამსახური, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და საელჩოები, რომლებიც პრაქტიკულად სიტუაციას ძაბავენ. ამიტომ, 2013 წელს ვუახლოვდებით სერიოზული საფრთხით, რომელსაც ორხელისუფლებიანობა ჰქვია.

– შობა-ახალი წელი მოდის და ალბათ აჯობებს შევეშვათ საფრთხეზე და უსიამოვნო ფაქტებზე ლაპარაკს. რა მიგაჩნიათ 2012 წლის ყველაზე პოზიტიურ მოვლენებად?

– 2012 წლის **წარმატებულ ეკონომიკურ პროექტად** შეიძლება მივიჩნიოთ მომავალი წლის ბიუჯეტის მიღება. ბატონმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო ეკონომისტმა, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, მოახერხა 5-6 დღეში შეესრულებინა სამუშაო, რომელსაც წესითა და კანონით 6-7 თვე სჭირდება. 2013 წლის ბიუჯეტი ნაკლოვანებებისაგან დაზღვეული არ არის, მაგრამ მთავარია, რომ ბიუჯეტი გახდა უფრო გამჭვირვალე: ის მუხლები, რომლებსაც

ერქვა ე.წ. "სხვა ხარჯები" და ეს პრაქტიკულად კორუფციული ნაწილი იყო, უკვე დანართებში ცხრილების სახით არის გაწერილი. ასე რომ, ვფიქრობ: 2013 წლის ბიუჯეტის მიღება არის საკმაოდ პოზიტიური ნაბიჯი ეკონომიკური თვალსაზრისით. **ყველაზე სამხიარულო** რა იყო? – ალბათ ის, რომ 2012 წელს ქვეყანას ჰყავდა სამი პრემიერ-მინისტრი. 2012 წლის დასაწყისის პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სულ ტრაბახობდა, ექსპორტი იზრდებაო, მაგრამ არასოდეს უთქვამს, რომ ექსპორტის 30 პროცენტი გახლდათ ავტომობილები და ჯართი, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდას სულაც არ ნიშნავს. ალბათ არანაკლებ ღიმილისმომგვრელი იყო ის, რომ მეორე პრემიერ-მინისტრს, ანუ ვანო მერაბიშვილს, ქვეყნის პრეზიდენტმა „გაღლეტილი" უწოდა. ეტყობა მან კარგად არ იცის, რომ გაღლეტილი ქართულად მარტო ღარიბს არ ნიშნავს. ეს ნიშნავს ადამიანს, რომელიც „ქვიდან ზეთს გამოადენს", ამ „გაღლეტილი" პრემიერ-მინისტრის ისტორიული ფრაზა კი გახლდათ – "რამდენადაც ფულს სუნი არ ასდის, ამიტომ რუსულ კაპიტალს ჩვენს ქვეყანაში მივესალმებითო".

– შარშან კურიოზად გამოყავით ის, რომ საქართველოში „შუქი ნაგავს წერს", ეს უცნაური მოვლენა წელსაც დარჩა.

– დიახ, ეს კურიოზი ქვეყანაში დარჩა. პარლამენტს უნდა მიეღო ცვლილება, რომლითაც ეს უცნაურობა აიკრძალებოდა, მაგრამ ეს არ გაკეთდა და ჩვენს ქვეყანაში შუქი დღემდე წერს ნაგავს, ოღონდ ქალაქის საკრებულოს "შევეცოდეთ" და ზამთრისთვის დასუფთავების ტარიფი შეგვიმცირა.

– და ბოლოს, 2013 წლის პროგნოზი, თუ შეიძლება ვივარაუდოთ რა მოხდება ქვეყანაში?

– 2013 წელი საკმაოდ მძიმე იქნება. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, სააკაშვილი იმუქრება, რომ მალე შეცვლის სიტუაციას და ამის დასტურია ის ფაქტი, დასავლეთში როგორ აუგორეს შავი პიარი ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას". ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი რევანშისთვის ემზადება. აშკარაა, რომ ის ეცდება საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვოს. ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ ეიფორიაშია და ჰგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" დამარცხდა, შეიძლება არჩევნებზე არც მივიდეს, „ნაცმოძრაობა" კი სრულ მობილიზებას გამოაცხადებს – ამის რეალური საშიშროება არსებობს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სააკაშვილის მთავრობა არის კრიმინალური მთავრობა, მაგრამ დასავლეთისათვის ძნელია იმის აღიარება, რომ

მთელი 9 წლის განმავლობაში კრიმინალს უჭერდა მხარს. ასეთ დროს საკითხავია – რატომ გაწყვიტა ივანიშვილმა კავშირი ლობისტურ კომპანიებთან და რატომ დაუთმო ბურთი და მოედანი სააკაშვილს, მით უმეტეს, რომ საელჩოებში ისევ ის ხალხი ზის, რომელიც სააკაშვილისთვის მუშაობს? ამიტომ, ფხიზლად უნდა ვიყოთ! აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2013 გველის წელია, გველი კი სიბრძნის სიმბოლოა, შესაბამისად, მომავალ წელს უნდა ვიყოთ ბრძენნი იმიტომ, რომ ჩვენი მტერი საკმაოდ ძლიერი და ცბიერია. და ბოლოს, არ შემიძლია არ გამოვყო 2012 **წლის სიტყვა**, რომელიც ჩემი აზრით არის ე.წ. "კოჰაბიტაცია". სხვათა შორის, ამ სიტყვას შეცდომით გამოთქვამენ – სინამდვილეში ეს არის "კოაბიტაცია". თანაც, ამ სიტყვას ყველაზე ხშირად ის ხალხი იყენებს, რომელმაც საყველპურო ინგლისურიც კი არ იცის – ალბათ ესეც თავისებური კურიოზია, არა ეკონომიკური, მაგრამ მაინც... ქართულად უნდა ვიმეტყველოთ და ეს უბედური "კოაბიტაცია" ქართულად – "თანაცხოვრებაა"!

ესაუბრა **ხათუნა ჩიგოგიძე**